

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგითი
სხდომის ოქმი N10

ქ. ვანი, თავისუფლების ქ. N65

14. 09. 2022 წ.

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე - ალექსანდრე ლილუაშვილი.

სხდომას ესწრებოდა საკრებულოს 19 წევრი: ალექსანდრე ლილუაშვილი, დავით ხარძეიშვილი, შოთა გიორგაძე, გელა ვარდოსანიძე, ვლადიმერ ჭვალაძე, გელა ჩიკვაძე, სანდრო ხურციძე, ლია დიასამიძე, ილია დვალიშვილი, ივანე კორძაძე, შალვა ლორთქიფანიძე, დავით კაკაბაძე, თეონა ადეიშვილი, ეთერი ჭიჭინაძე, თამარ შენგელია, ნატო დვალი, ლანა გოგოძე, კობა ძაგნიძე, ლიზა ტყემელაშვილი.

სხდომას საპატიო მიზეზით არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: გიორგი ივანიაძე, გრიგოლ მატარაძე, ბიჭიკო პაიკიძე, ტარიელ ბარამიძე, კობა ტოხვაძე, გიორგი ტყემელაშვილი, ალექსანდრე მჟავანაძე, მაკა ზარნაძე, თორნიკე ერისთავი, გელა ღვიტიძე, რამაზ არველაძე.

(დანართი: N1)

სხდომას ასევე ესწრებოდნენ:

საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსი - **ლუიზა ჯოგლიძე;**

საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსის მოადგილე იურიდიულ საკითხებში- **სალომე ფახურიძე.**

მოწვეული პირები:

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსი-**მიხეილ სვანაძე.**

სხდომის თავმჯდომარე ალექსანდრე ლილუაშვილი საკრებულოს ღია სხდომას 14⁰⁰ საათზე გახსნილად აცხადებს.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

დღის წესრიგი

1. ვანის მუნიციპალიტეტის 2022 წლის სოციალური პროგრამების დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N28 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხს: /მიხეილ სვანაძე/

2. ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების, გარდა საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირებისა, უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ;

მომხს: /გელა ჩიკვაძე/

წარმოდგენილი დღის წესრიგის პროექტისადმი შენიშვნები არ გამოთქმულა.
ჩატარდა ღია კენჭისყრა:

მომხრე - 19

წინააღმდეგი - არცერთი.

დაადგინეს: დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა მიხეილ სვანაძემ წარმოადგინა დადგენილების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის 2022 წლის სოციალური პროგრამების დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N28 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელმა განმარტა, რომ წარმოდგენილი დადგენილების პროექტის მიხედვით ცვლილება შეეხება: დადგენილების მე-15 მუხლით დამტკიცებულ „მარტოხელა მშობელთა დახმარების პროგრამას“ კერძოდ მე-3 პუნქტს ცვლილების მიხედვით ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„პროგრამის მიზანი:

პროგრამა ითვალისწინებს მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე იმ პირების ყოველთვიურ ფინანსურ დახმარებას, რომელთაც სტატუსი განესაზღვრათ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1191¹ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების შესაბამისად.“

მოგეხსენებათ საქართველოს სამოქალაქო კოდექსში მ/წლის 9 ივნისს შეტანილი ცვლილების თანახმად მარტოხელა მშობლის სტატუსი დამატებით მიენიჭათ იმ პირებს, რომელთა არასრულწლოვანი შვილის მეორე მშობელი გარდაცვლილია, გამოცხადებულია გარდაცვლილად ან აღიარებულია უგზო-

უკვლოდ დაკარგულად და იმ პირებს, რომელთა არასრულწლოვანი შვილის მეორე მშობელს ჩამორთმეული აქვს მშობლის ყველა უფლება და მოვალეობა. ცვლილება ძალაში შევიდა მ/წლის 1 ივლისიდან.

აღნიშნული ცვლილების გათვალისწინებით, მარტოხელა მშობელთა დახმარების პროგრამის 4 ბენეფიციარს დაემატებოდა არანაკლებ 80 ბენეფიციარი, რომლებიც სახელმწიფოსგან უკვე იღებენ ყოველთვიურ დახმარებას (მარჩენალდაკარგულთა პენსია). ამ რაოდენობის ბენეფიციარის დაკმაყოფილებისა და სახელმწიფოს ანალოგიური დახმარების გაწევის ფინანსური შესაძლებლობა ჩვენ არ გაგვაჩნია და ამის გამო შემოვდივართ წინადადებით განხორციელდეს წარმოდგენილი ცვლილება პროგრამაში და გაგრძელდეს მხოლოდ იმ მარტოხელა მშობელთა დახმარება, რომლებსაც კოდექსში შეტანილ ზემოთაღნიშნულ ცვლილებამდე ჰქონდათ მინიჭებული სტატუსი და რომლებიც სახელმწიფოსგან ჯერ-ჯერობით დახმარებას არ იღებენ.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს:

მომხრე – 19
წინააღმდეგი – არცერთი.

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს დადგენილების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის 2022 წლის სოციალური პროგრამების დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N28 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

დადგენილება: N18

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა-გელა ჩიკვაიძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების, გარდა საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირებისა, უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ“.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N27 დადგენილების შესაბამისად და ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსის 2022

წლის 02 სექტემბრის N65-6522245001 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, საკრებულოს წევრ არათანამდებობის პირებს აგვისტოს თვის ხარჯების ანაზღაურებისთვის ჩაერიცხოთ თითოეულს 675 (ექვსას სამოცდათხუთმეტი) ლარი.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:

მომხრე – 19

წინააღმდეგი – არცერთი.

გადაწყვეტის: დამტკიცდეს განკარგულების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების, გარდა საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირებისა, უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ.“

განკარგულება: გ-65.6522257001

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ საკრებულოს რიგითმა სხდომამ მუშაობა დაასრულა.